

საქართველოს გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს  
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

ინდივიდუალური მეწარმე რუსიკო მიქავა გეგმავს, ქ. თბილისში, გარდაბნის სექტორის, სოფელ ფონიჭალაში მდებარე კუთვნილი სათბურის გასათბობად დაამონტაჟოს ღუმელი, რომელიც მოახდენს ნამუშევარი ზეთების ინსენერაციას და მიღებული ენერგია (სითბო) გამოიყენოს სათბურის გასათბობად.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი – სკრინინგის ანგარიში

პატივისცემით,  
რუსიკო მიქავა  
ინდ. მეწარმე



**დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები**

1. **პროექტის მიზანი:** დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ქ. თბილისში, სოფელ ფონიჭალაში განმცხადებლის საკუთრებაში არსებული სასათბურე მეურნეობის (ს/კ 81.05.01.035) ექსპლუატაციის პროცესში, გასათბობად ნამუშევარ ზეთებზე მომუშავე, მცირე სიმძლავრის საქვაზე დანადგარის გამოყენება. ზემოაღნიშნული სასათბურე მეურნეობა ფუნქციონირებს 2021 წლიდან და წლის ცივ პერიოდში თბება ბუნებრივი გაზის წვის ხარჯზე, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ საწვავზე ფასი მაღალია, რაც თავისთავად აისახება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში, დაგეგმილი გვაქვს საწვავის ჩანაცვლება ნახმარი ზეთებით, რომელის წვა მოხდება ორკამერიან უნივერსალურ ინსინერატორში. მაღალი ეკონომიური და ეკოლოგიური ღირებულებების გამო ასეთი ღუმელები აქტიურად გამოიყენება სხვა ქვეყნებში. იგეგმება ყველა სახის ნახმარი ზეთების საწვავად გამოყენება გარდა პოლოქროლირებული ბიფენილებისა და პოლიქროლირებული ტრიფენილების შემცველი ნარჩენებისა.

დღეისათვის ქვეყანაში ათასობით ტონა ასეთი ნარჩენი წარმოიქმნება. მათ გადამუშავებას (რეგენერაციას) მხოლოდ რამდენიმე საწარმო ახდენს. ამავდროულად წარმოქმნილი ნახმარი ზეთების უმეტესი ნაწილი, მათი ხარისხის გამო რეგენერაციისათვის არ გამოდგება რის გამოც უმეტეს შემთხვევაში ხდება მათი ინსენერაცია, თუმცა ინსენერაციის შედეგად მიღებული ენერჯის გამოყენება, გარდა ერთეული შემთხვევებისა თითქმის არ ხდება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოები, რომელთაც ასეთი ნარჩენები წარმოექმნებათ იძულებულნი არიან გაიღონ სერიოზული ხარჯები ამ ნარჩენების ტრანსპორტირება-განადგურება-დასაწყობებაზე. პროექტის განხორციელება მათ მისცემს შესაძლებლობას მიიღონ შემოსავალი ასეთი ნარჩენების რეალიზაციიდან. ეს ასევე ხელს შეუწყობს ასეთი ნარჩენების აღრიცხვის ლეგალიზებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სათბურის გასათბობად ნახმარი ზეთების ინსენერაციის ღუმელის გამოყენება უზრუნველყოფს საწარმოს მიერ ენერგო რესურსებზე ხარჯების ეკონომიას, ამავდროულად ხელს შეუწყობს ასეთი ნარჩენების მართვას და მოგვცემს მეორად შედეგებს, როგორცაა:

- ნარჩენების ეფექტური მართვის ხელშეწყობა;
- ბუნებრივი რესურსების დაზოგვა;
- ნახმარი ზეთების წარმომქმნელი ორგანიზაციებისათვის ამ ნარჩენის ეფექტური და ხელსაყრელი(მომგებიანი) მოშორების ხელშეწყობა;
- ნახმარი ზეთების წარმოქმნის აღრიცხვის პროცესის ლეგალიზება;

2. **პროექტის განხორციელების ადგილი:** თბილისი, გარდაბნის სექტორი სოფ. ფონიჭალა